ხელშეკრულება №6

ქ. ბათუმი, 08 იანვარი 2015 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მ/შ დავით მიქელაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ერთიგონი", დირექტორის ავთანდილ ტაბატაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის შედეგად („საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV48600000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების არსებული პროგრამული სისტემის განახლება და კონსულტაციები.

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

2.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს დეპარტამენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

2.3. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ან შესაბამისი სხვა დოკუმენტის გაფორმებით.

3.2. შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური დოკუმეტაცია.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

5. ფასები

5.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

5.2. ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

5.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

5.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

5.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

8. სუბკონტრაქტორები

8.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

8.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

10. ფორს მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წეირლობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

14.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგ ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი	შ.პ.ს. „ერთიგონი“
ტელ: 577 908016	ტელ: 577 54 74 96
მისამართი: ქ. ბათუმი, ლ.გუდიაშვილის ქ. N4	მისამართი: ქ. თბილისი, ზაქარაიას ქ. N34
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „თიბისი ბანკი“	ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი – TBCBGE22	ბანკის კოდი – TBCBGE22
ა/ნ – GE62TB7901736010100015	ა/ნ – GE93TB1143936020100002
საიდენტიფიკაციო კოდი - 245631400	საიდენტიფიკაციო კოდი - 200248384
დეპარტამენტის უფროსი/მ/შ:	დირექტორი:
_____ /დ. მიქელაძე/ ბ. ა.	_____ /ა. ტაბატაძე/ ბ. ა.